

ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობა წყვილთა რბოლაში 2017

(შეჯიბრის რეგლამენტი)

დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ
2017 წელი



1. შესავალი
2. ოფიციალური შეჯიბრებების ჩატერების ამოცანები და მიზნები
3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები
4. შეჯიბრის სტრუქტურა და კალენდარი
5. სარბოლო ტრასა
6. უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა
7. ოფიციალური პირები
8. მოთხოვნები ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობაში მონაწილეობის მიღების მსურველების მიმართ
9. დაშვებული ავტომობილები
10. კლასიფიკაცია, შედეგების განსაზღვრა
11. დაჯილდოება
12. პროტესტები და აპელაციები

მუხლი 1. შესავალი

1.1. ნამდვილი რეგლამენტი (შემდგომში სსსფ–ს რეგლამენტი) შედგენილია 2017 წლის საავტომობილო სპორტის შეჯიბრებების დებულებების თანახმად და განსაზღვრავს ქ. ფოთის შიდა საქალაქო 2017 წლის ოფიციალური შეჯიბრების ორგანიზებისა და წარმართვის წესებს სამოყვარულო წყვილთა რბოლაში.

1.2. ჩემპიონატის ორგანიზებისა და წარმართვის ნორმატიულ დოკუმენტაციად ითვლება:

1.2.1 სსსფ–ს სპორტული კოდექსი და მისი დანართები;

1.2.2 სამოყვარულო შეჯიბრებების წარმართვის საერთო დებულებები (სსსფ–სა და ააიპ „მანქანის ქუჩის რბოლა“-ს საერთო დებულებები);

1.2.3 სამოყვარულო შეჯიბრებების ორგანიზებისა და ჩატარების წესები;

1.2.3 სამოყვარულო შეჯიბრებებში მონაწილე ავტომობილების ტექნიკური მოთხოვნები და კლასიფიკაცია;

1.2.4 მოქმედი რეგლამენტი (სსსფ–ს რეგლამენტი) და მისი დანართი;

1.2.5 ღონისძიების დებულება.

1.3. ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობა ტარდება ააიპ „მანქანის ქუჩის რბოლა“-ს გადაწყვეტილებების თანახმად. სსსფ-ს მიერ 2017 წლის ავტოსპორტის დადგენილი სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების კალენდარული გეგმის თანახმად.

1.4. მოცემული სსსფ-სა და ააიპ „მანქანის ქუჩის რბოლა“-ს ერთობლივი რეგლამენტი, ძალაშია დამტკიცების მომენტიდან.

მუხლი 2. ოფიციალური შეჯიბრებების ამოცანები და მიზნები

2.1 ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობის ოფიციალური შეჯიბრი ტარდება საუკეთესო მოყვარული მძღოლის გამოსავლენად, სპორტული და სარბოლო უნარების ასამაღლებლად, მაყურებელში საავტომობილო დისციპლინებისა და ტექნიკური სახეობების პოპულარიზაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ავტომობილის უსაფრთხოდ მართვის პროპაგანდისათვის.

მუხლი 3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები

3.1. 2017 წლის ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობის ჩატარების უფლება წყვილთა რბოლაში ეკისრება ააიპ „მანქანის ქუჩის რბოლა“-ს

3.2. სსსფ-ს სტრუქტურაში ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობის ჩატარებისას, სპორტული პრინციპებისა და შეჯიბრებების ორგანიზების პასუხისმგებლობა ეკისრება სსსფ-ს წრიული რბოლების კომიტეტს, რომელიც მოქმედებს სსსფ-ს შესაბამის რეგიონალურ განყოფილებებსა და ფედერაციებთან ერთად. სერიის ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.

მუხლი 4. შეჯიბრებების სტრუქტურა და კალენდარი

4.1. შეჯიბრებების სტრუქტურა

ააიპ „მანქანის ქუჩის რბოლა“ 2017 წელს მართავს ოფიციალურ შეჯიბრს ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობას წყვილთა რბოლაში, სადაც კლასები არის დაყოფილი შემდეგნაირად:

#	სტატუსი	კლასი
1	ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობის თასის მფლობელი	წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები (FWD)
2	ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობის თასის მფლობელი	უკანა წამყვანი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები (RWD)

4.2. კალენდარი

ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობა 2017 გაიმართება მიმდინარე წლის 8 ივლისს.

4.3. ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება ივენთების ბაზაზე, რომელიც ჩართულია სსსფ-ს სპორტული ღონისძიებათა ჩატარების კალენდარული გეგმის შესაბამისი სტატუსით. შეთანხმებული კალენდარი მიეწოდება სსსფ-ს შეჯიბრის სერიის პრომოუტერის ან ორგანიზატორის მიერ, პრომოუტერის არყოფნის შემთხვევაში ივენთის ორგანიზატორის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია სსსფ-ს წინაშე ივენთის ჩატარებაზე.

4.4. კალენდარში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება საიტზე - GASF.CO დანაყოფში „კალენდარი“.

მუხლი 5. სარბოლო ტრასა

5.1. შეჯიბრებების ჩატარების ტრასა უნდა ექვემდებარებოდეს სსსფ-ს მოთხოვნებს.

5.2. შეჯიბრის დაწყების წინ, სსსფ-ის მიერ წარდგენილი უსაფრთხოების კომისარი ვალდებულია შეამოწმოს ტრასის მზადყოფნა და მისი შესაბამისობა ტრასის პასპორტთან. შემოწმებების შედეგებიდან გამომდინარე, დგინდება და ხელი ეწერება ტრასის მიღების აქტს.

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა

6.1. შეჯიბრის ჩატარების დროს უსაფრთხოების დაცვის შესახებ პასუხისმგებლობას დებულობენ შეჯიბრის ორგანიზატორი, შეჯიბრის ხელმძღვანელი და სსსფ-ის მიერ წარდგენილი უსაფრთხოების კომისარი. შეჯიბრის ხელმძღვანელი და სსსფ-ის მიერ წარდგენილი უსაფრთხოების კომისარი ვალდებული არიან შეაჩერონ შეჯიბრი თუ არსებობს მაყურებლის, ოფიციალური პირების, მრბოლელებისა და მონაწილე პერსონალის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საშიშროება.

მუხლი 7. ოფიციალური პირები

7.1. ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობაზე სსსფ-ს წრიული რბოლების კომისია ნიშნავს შემდეგ პასუხისმგებელ პირს:

- უსაფრთხოების კომისარს

7.2 ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობაზე სსსფ-ს წრიული რბოლების კომისიას შეუძლია დანიშნოს შემდეგი ოფიციალური პირები:

- რბოლის ხელმძღვანელი;
- შეჯიბრის კომისარი;
- ტექნიკური კომისარი;

მუხლი 8. მოთხოვნები ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობაში მონაწილეობის მიღების მსურველების მიმართ:

8.1. ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან შემდეგი პირები: მრბოლელები რომელთაც გააჩნიათ ავტომობილის მოქმედი მართვის მოწმობა.

მუხლი 9. დაშვებული ავტომობილები

9.1. შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ავტომობილები, რომლებიც შეესაბამებიან სსსფ-ს 2017 წელს მიღებულ ტექნიკურ მოთხოვნებს;

9.2 სავალდებულო და არასავალდებულო რეკლამის განთავსების პირობები ცხადდება ორგანიზატორის მიერ ეტაპის დებულებით.

9.3. ავტომობილებზე გამოიყენება ის საბურავები რომლებიც დაშვებულია შეჯიბრის დებულების მიხედვით.

მუხლი 10. შეჯიბრებების ჩატარების პირობები, კლასიფიკაცია, შედეგების განსაზღვრა:

10.1. ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობა წყვილთა რბოლაში ტარდება პირად ჩათვლაში, მუხლი 4.1. შესაბამისად.

10.2. ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობა წყვილთა რბოლაში ჩაითვლება შემდგარად იმ შემთხვევაში თუ ფაქტიურად შედგება საქართველოს საავტომობილო სპორტრის ფედერაციის სპორტული კალენდარული გეგმით გათვალისწინებული (კონკრეტულ სახეობაში და კლასში) შეჯიბრის მინიმუმ 70%.

10.3. ივენთში მონაწილეობის მიმდებარე ითვლება მრბოლელი, რომელმაც მიიღო რბოლის სტარტი.

10.4. ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობის ჩატარების პირობები:

10.4.1 თითოეული ეტაპი შედგება 2 ჩათვლითი ჯგუფისაგან:

- წინა აღმძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები - FWD
- უკანა აღმძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები - RWD

10.4.2 თითოეულ კლასში (FWD, RWD) დაიშვებიან ამ კონკრეტული კლასისათვის განკუთვნილი ავტომობილები მუხლი 9-ის შესაბამისად.

10.5 თითოეულ კლასში ავტომობილების მინიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 4 ავტომობილით.

მუხლი 11. დაჯილდოება

11.1. მრბოლელმა, რომელმაც გაიმარჯვა ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობაში, მის ჩათვლით ჯგუფში, ენიჭებათ 2017 წლის ქ. ფოთის შიდა საქალაქო პირველობის თასის მფლობელის წოდება სამოყვარულო წყვილთა რბოლაში, მე-2 და მე-3 ადგილების მფლობელებს – ქ. ფოთის შიდა საქალაქო თასის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები.

მუხლი 12. პროტესტი, აპელაცია

12.1. ნებისმიერი პროტესტის განცხადება ექვემდებარება სსსფ–ს სპორტული კოდექსისი მოთხოვნებს და თან ახლავს თანხობრივი შესატანი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ეტაპის დებულებით.

12.2. იმ შემთხვევაში, როდესაც მაპროტესტებელი პირი არ ეთანხმება შეჯიბრის ხელმძღვანელის ან/და შეჯიბრის კომისრის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მას აქვს უფლება შეიტანოს აპელაცია სსსფ–ში. სსსფ–ში აპელაციის შეტანას განსაზღვრავს სსსფ–ს კოდექსი.